მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2024 წლის 26 იანვარი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ელექტრონული ფორმით ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის №54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ელექტრონული ფორმით ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის №54 (www.matsne.gov.ge, 010250050.35.153.016692, 27/12/2023) დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ელოშვილი**